ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7403119

ნომერი: AR11079775

თარიღი : 26.02.2025

გაცემის თარიღი : 07.03.2025

გაცნობის თარიღი : 07.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), ბაღი სკვერი "სამაია" , ტერიტორიის ნაწილი ; ქალაქი თბილისი , აღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა სანოძე პ/ნ 37001051566
- თბილისი, გლდანის V მ/რ, ნ. კეცხოველის #16

ნომენკლატურა :

- კაფე, ბარი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: კაფე-ბარი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „ალგო“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 209441193
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თამაზ ბერეჟიანი. მარინე ციციშვილი, დევი სრუტუა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01015000381. 01007003107. 01017014030

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ბრძანება № 6362241
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.03.2023

ქ. თბილისის მუნციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2023 წლის 10 მარტის № 6362241 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის № 6342103 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა) დაღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), ბაღი სკვერი "სამაია" , ტერიტორიის ნაწილი; ქალაქი თბილისი , აღმართი ვერა (ყოფ. ელბაქიძე), N2 - ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.15.03.022.085) კაფე/ბარის არქიტექტურული პროექტი. 2023 წლის 10 მარტის № 6362241 ბრანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 10 მარტიდან 2025 წლის 10 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

2025 წლის 26 თებერვალს №AR11079775 განცხადებით მოგვმართა მოქ. ს. სანოძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2023 წლის 10 მარტის № 6362241 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. ს. სანიძის 2025 წლის 26 თებერვლის №AR11079775 ელექტრონული განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 10 მარტის № 6362241 ბრძანებაში კერძოდ ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 10 მარტიდან 2025 წლის 10 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად" შეიცვალოს „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 07 მარტიდან 2027 წლის 07 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად"
3. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მოედნის მოწესრიგება-შემოღობვა), არსებული შენობების დაშლა.
2) გრუნტის ცვლილების სამუშაოები.
3) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.
4) შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები , შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის მიწის პირის

ნიშნულამდე.
5) შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდა პირველი სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა. შენობანაგებობის მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა.
6) შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო საერთო სარგებლობის საინჟინროტექნიკური ქსელების მოწყობა.
7) შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 1415 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 023 წლის 10 მარტის № 6362241 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.